ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02-120

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი ,,28'',, მარტი'', 2012 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო** (მდებარე ქ. თბილისი, წერეთლის ქ. №67ა) წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის **ნინო ინწკირველის** სახით, შემდგომში წოდებული **„შემსყიდველი"** და მეორეს მხრივ, **შპს „ბებე-2009"** (მდებარე ქ. მცხეთა, გამსახურდიას ქ. №13) წარმოდგენილი დირექტორი ზურაბ მაჩხანელის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც **„მიმწოდებელი",** ყველანი ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 08 დეკემბრის №2378 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, ან ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ექსპერტი" –სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ქ. მცხეთის ქორწინების სახლის ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად (CPV - 45310000):

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 2979 (ორიათას ცხრაას სამოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია დაზუსტდეს (შემცირდეს) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის შესაბამისად.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას, ისე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ

გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შემსყიდველის საკუთარი შემოსავლები;

3.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და დაასრულოს 2012 წლის 10 აპრილის ჩათვლით („დასრულების დღე"), სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო და სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგავის მოგროვება და გატანა ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებთან შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებით.

დ) წარუდგინის შემსყიდველს ყველა აუცილებელი ლიცენზიის, ნებართვის და სერთიფიკატის ასლები ასეთების არსებობის შემთხვევაში;

ე) განიხილოს შემსყიდველის საფუძვლიანი პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) „შემსყიდველ"-ს წარუდგინოს სამუშაოთა შესრულების შესახებ ფორმა (შემდგომში „ფორმა №2" რომელიც ასახავს შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ღირებულებას)

ზ) მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს და შემსყიდველს შეუთანხმოს მშენებლობის დროს" გამოსაყენებელი მასალების ან/და მოწყობილობის ნიმუშები და შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატები;

თ) მშენებლობის დროს მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიმართოს ინსპექტირების ჯგუფს, რათა ერთობლივად შეიმუშაონ შესაბამისი მოქმედების ინსტრუქცია;

ი) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწაარმოოს წერილობით „შემსყიდველთან"

კ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ლ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი

5.4. შემსყიდველის მიზეზით გამოწვეული სამუშაოების შეჩერება არ ჩაითვლება მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და შესაბამისი ვადით გადაიწევს სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადა.

5.5. შემსყიდველს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები მოილაპარაკებენ დამატებით.

6. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია

6.1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.2. ამ მუხლის 6.1 პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს შესრულებულ სამუშაოებში მისი მიზეზით გამოწვეული დეფექტები. შემსყიდველის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ შესრულებულ სამუშაოებში წუნის გამოვლენის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ წერილობითი ფორმით ეცნობება მიმწოდებელს. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად შეადგენენ შესაბამის დეფექტურ აქტს, ხარჯთაღრიცხვას და განსაზღვრავენ გონივრულ ვადას დეფექტების აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეთანხმდნენ წუნდების ბრალეულობაზე ჩატარდება დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

7.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით შესრულებული სამუშაო, მხარეები შეადგენენ შესაბამის დეფექტურ აქტს, შეადგენენ ხარჯთაღრიცხვას და განსაზღვრავენ გონივრულ ვადას დეფექტების აღმოსაფხვრელად. მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი თუ წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალით ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას შეთანხმებულ ვადაში და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ წუნდებული სამუშაოს ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს წუნდებული სამუშაოს ღირებულება შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

7.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირება) და მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ: სრს ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ოლეგ დოლიძე ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სრს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბოკუჩავა.

8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესრულებული სამუშაოს დასრულებისას, მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის/წარმომადგენლების ხელის მოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმის №2-ის საფუძველზე.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს სამუშაოები მიმწოდებლის მიერ „ფორმა №2"-ის

წარმოდგენიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში ან წარუდგინოს საფუძვლიანი პრეტენზია მიმწოდებელს, ამ ვადაში პრეტენზიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შესრულებული სამუშაოები ითვლება მიღებულად და მოწონებულად.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, შემსყიდველი ახორციელებს ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.4. ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული სამუშაოს ღირებულება საგადასახადო ანაგრიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში)წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით 7 (შვიდი) დღის ვადაში.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. "დასრულების დღის" გადაცდენის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, მაგრამ პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული სამუშაოს ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.9. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.10. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების

მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 30 (ოცდაათი) დღით ადრე.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს რომელიმე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. დავების გადაწყვეტა და მართველი სამართალი

14.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.1, 6.2 მუხლები მოქმედებენ ამავე მუხლებში აღნიშნული ვადით.

16. ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს:

ა) ომით, დაპირისპირებით (იმის მიუხედავად, ომი იქნება გაცხადებული, თუ გამოუცხადებელი), ინტერვენციით, უცხოელ მტერთა ქმედებით;

ბ) აჯანყებით, ტერორიზმით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლებით, ან სამოქალაქო ომით;

გ) არეულობით, უწესრიგობით, გაფიცვით ან "ლოკაუტით" იმ პირთა მიერ, რომლებიც არ არიან მიმწოდებლის თანამშრომლები და მიმწოდებლის და მისი ქვეკონტრაქტორების მიერ დასაქმებულის პირები;

დ) სამხედრო აღჭურვილობით, ასაფეთქებელი მასალებით, იონური რადიაციით ან რადიაციული დაბინძურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად მიმწოდებელი იყენებს ასეთ აღჭურვილობას, ასაფეთქებელ მასალებს, რადიაციას ან რადიო-აქტიურობას;

ე) ბუნებრივი კატასტროფებით, როგორიცაა მიწისძვრა, გრიგალი, ტაიფუნი ან ვულკანური აქტივობა; ან

ვ) ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ქართულ ენოვან ეგზემპლარად.

17.2. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელსა, ხოლო სამი – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ-სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
მის: ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზ. 67ᵃ
ს/ს საქართველოს ბანკი ცუფ
BIG კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE20BG0000000122031300
ს/კ №202307404

თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს "ბებე-2009"
ქ. მცხეთა, გამსახურდიას ქ. №13
ს/ს ლიბერთი ბანკი
BIG კოდი: LBRTGE22
ა/ა №: GE 48LB0113111382375000
ს/კ №236098021

შპს "ბებე-2009"-ის

დირექტორი

ზურაბ მაჩხანელი

ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარედ ქორწინების სახლის ელ. მომარაგების

ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: 2979 ლარი

რიგ №№	სამუშაოს და მასალების ჩამონათვალი	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	ღირებულება /ლარი/		
					შრომის	მასალა	სულ
1	ქვაფენილის დემონტაჟი და მონტაჟი ს=45X0,40	კვ.მ	**18.00**	32.80	590.40		**590**
2	მიწათხრილის მომზადება მიწისქვეშა ელ.კაბელის მოსაწყობად	გრძ.მ	45.00	3.75	168.75		**169**
3	ელ. კაბელის ჩადება	გრძ.მ	45.00	0.75	33.75		**34**
	– ქვიშა (ლამი)	კუბ.მ	3.60	13.00		46.80	**47**
	– კაბელი, 4X25,	გრძ.მ	50.00	4.80		240.00	**240**
	– მილი, გოფრირებული, დ=50 მმ	გრძ.მ	50.00	2.50		125.00	**125**
4	აღრიცხვის კვანძის მონტაჟი	კომპლ	**1.00**	250.00	250.00		**250**
	– მრიცხველი, სამფაზა	ცალი	1.00	220.00		220.00	**220**
	– ყუთი, მრიცხველის	ცალი	2.00	30.00		60.00	**60**
	– ავტომატური ამმომრთველი, 63 ამპ	ცალი	1.00	90.00		90.00	90
	– ტრანსფორმატორი, დენის	კომპლ	1.00	120.00		120.00	120

ხელფასი და მასალები ერთად:		1043	902	1945
I. სატრანსპორტო ხარჯები	0.20	902		180
				2125
II. ზედნადები ხარჯები	0.10	2125		213
ჯამი:				2338
III. რენტაბელობა	0.08	2338		187
ჯამი:				2525
IV. დ.ღ.გ	0.18	2525		454
ს უ ლ :				**2979**

შ.პ.ს "ბებე-2009"

დირექტორი: ზ. მაჩხანელი

საქართველო. შპს "ბებე-2009" * LTD. 236098021 * GEORGIA. "BB-2009"

ქ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარედ ქორწინების სახლის გარე ელექტრომომარაგების სქემა